საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

საქართველო: პროექტი ადრეული გაფრთხილების სისტემების (EWS) გაძლიერება გენომური ზედამხედველობის და ერთიანი ჯანმრთელობის მიდგომის გამოყენებით (P511731)

გარემოსდაცვითი და სოციალური ვალდებულებების გეგმა (ESCP)

შეფასების ეტაპის დოკუმენტი (სამუშაო ვერსია)

ივლისი 2026

მხოლოდ ოფიციალური გამოყენება

1. საქართველო (შემდგომ - „მიმღები“) განახორციელებს პროექტს საქართველო: ადრეული გაფრთხილების სისტემების გაძლიერება გენომური მეთვალყურეობისა და ერთიანი ჯანმრთელობის მიდგომის გამოყენებით (შემდგომში - „პროექტი“), საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჩართულობით და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის, სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორიისა და სურსათის ეროვნული სააგენტოს მონაწილეობით, როგორც ეს განსაზღვრულია საგრანტო ხელშეკრულებაში (“ხელშეკრულება”). რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი (IBRD), რომელიც მოქმედებს როგორც პანდემიის პრევენციის, მზადყოფნისა და რეაგირების სატრასტო ფონდის განმახორციელებელი სუბიექტი, დათანხმდა პროექტისთვის დაფინანსების გამოყოფას, შეთანხმებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

2. მიმღები ვალდებულია უზრუნველყოს, რომ პროექტი განხორციელდეს გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტების (ESS) და გარემოსდაცვითი და სოციალური ვალდებულების გეგმის (ESCP) შესაბამისად, ბანკისთვის მისაღები წესით. ESCP წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. თუ ESCP-ში სხვაგვარად არ არის განსაზღვრული.

3. ზემოაღნიშნულთან ერთად, წინამდებარე ESCP განსაზღვრავს არსებით ღონისძიებებსა და ქმედებებს, რომელთა განხორციელებასაც მიმღები უზრუნველყოფს ან განახორციელებს, საჭიროებისამებრ, მათ შორის შესაბამისი ვადების, ინსტიტუციური მოწყობის, ადამიანური რესურსების, ტრენინგების, მონიტორინგისა და ანგარიშგების მექანიზმებისა და საჩივრების მართვის ღონისძიებების ჩათვლით. ESCP ასევე განსაზღვრავს იმ გარემოსდაცვით და სოციალურ (E&S) დოკუმენტებს, რომლებიც პროექტის ფარგლებში უნდა მომზადდეს ან განახლდეს, შეთანხმდეს დაინტერესებულ მხარეებთან, გასაჯაროვდეს და განხორციელდეს ESS-ების მოთხოვნების შესაბამისად, ბანკისთვის მისაღები ფორმითა და შინაარსით. აღნიშნული E&S დოკუმენტები შეიძლება პერიოდულად გადაიხედოს ბანკის წინასწარი წერილობითი თანხმობის საფუძველზე. შეთანხმების შესაბამისად, მიმღები უზრუნველყოფს, რომ ხელმისაწვდომი იყოს საკმარისი ფინანსური რესურსები ESCP-ის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების დასაფარად.

4. ბანკისა და მიმღების შეთანხმებით, წინამდებარე ESCP საჭიროების შემთხვევაში, პერიოდულად გადაიხედება პროექტის ცვლილებების, გაუთვალისწინებელ გარემოებებზე მორგებული მართვის ან პროექტის შესრულების საპასუხოდ. ასეთ ვითარებაში ბანკი და მიმღები თანხმდებიან, განაახლონ ESCP, რათა აისახოს აღნიშნული ცვლილებები ბანკსა და ხელშეკრულებაში მითითებულ მიმღების წარმომადგენელს შორის ხელმოწერილი წერილების გაცვლის გზით. მიმღები ვალდებულია დაუყოვნებლივ გაასაჯაროოს განახლებული ESCP.

5. ქვემოთ მოყვანილი ქვეპუნქტი "განხორციელებისთვის მზადყოფნის ინდიკატორები" განსაზღვრავს იმ ქმედებებსა და ღონისძიებებს, რომელთა მონიტორინგიც მოხდება პროექტის განხორციელების დასაწყებად, მზადყოფნის შეფასების მიზნით, წინამდებარე ESCP-ის შესაბამისად. ამასთან, ESCP-ში განსაზღვრული ყველა ვალდებულება უნდა შესრულდეს „ვადების“ სვეტში მითითებული პირობების შესაბამისად მიუხედავად იმისა მითითებულია თუ არა ვალდებულებები „განხორციელებისთვის მზადყოფნის ინდიკატორების“ ჩამონათვალში.

მხოლოდ ოფიციალური გამოყენება

	მატერიალური ღონისძიებები და ქმედებები	ვადები	პასუხისმგებელი უწყება
	განხორციელების ღონისძიებები და შესაძლებლობების მხარდაჭერა		
A	**ორგანიზაციული სტრუქტურა** საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში (MoIHLSA)შენარჩუნდეს პროექტის განმახორციელებელი ერთეული (PIU) და გაძლიერდეს მისი შესაძლებლობები პროექტის გარემოსდაცვითი, სოციალური, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების (E&S) რისკებისა და ზეგავლენის მართვის მიმართულებით კვალიფიციური E&S სპეციალისტის დაქირავებისა და შენარჩუნების გზით. უზრუნველყოფილ იქნეს პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი და სოციალური (E&S) საკითხების კოორდინაცია დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრთან (NCDC), რომელიც ფუნქციონირებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ქვეშ, აგრეთვე სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორიასთან (SLA) და სურსათის ეროვნულ სააგენტოსთან (NFA), რომლებიც შედის გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს (MEPA) სისტემაში, მათ შორის პროექტის ფარგლებში დაფინანსებული ლაბორატორიული აღჭურვილობისა და სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციისა და ტექნიკური მომსახურების საკითხებზე.	დაქირავებულ იქნას E&S სპეციალისტი საგრანტო შეთანხმების ძალაში შესვლიდან 45 დღის ვადაში და ხელშეკრულება გაუგრძელდეს პროექტის განხორცილების მთელი პერიოდის განმავლობაში. პროექტის განხორცილებების მთელი პერიოდის განმავლობაში.	MoIHLSA
B	**შესაძლებლობების გაძლიერების გეგმა/ღონისძიებები** მომზადდეს და განხორციელდეს შესაძლებლობების გაძლიერებისთვის შემდეგი ღონისძიებები: • ჩატარდეს ტრენინგები პროექტის ბენეფიციარი დაწესებულებების – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში შემავალი დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის, აგრეთვე გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალი სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორიის და სურსათის ეროვნული სააგენტოს თანამშრომლებისთვის – შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის (OHS) საკითხების და ბიოქიმიური ლაბორატორიების სტანდარტული ოპერაციული პროცედურების (SOP) შესახებ.	საგრანტო შეთანხმების ძალაში შესვლიდან 120 დღის განმავლობაში.	MoIHLSA MEPA

მხოლოდ ოფიციალური გამოყენება

მატერიალური ღონისძიებები და ქმედებები		ვადები	პასუხისმგებელი უწყება
მონიტორინგი და ანგარიშგება			
C	**რეგულარული ანგარიშგება** მომზადდეს და ბანკს წარედგინოს პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური (E&S) საქმიანობის შესრულების შესახებ რეგულარული მონიტორინგის ანგარიშები, როგორც პროექტის განხორციელების პროგრესის შესახებ საერთო ანგარიშგების ნაწილი. ანგარიშები უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას: • ESCP-ის შესაბამისად მოთხოვნილი გარემოსდაცვითი და სოციალური (E&S) დოკუმენტების მომზადებისა და განხორციელების სტატუსს; • დაინტერესებულ მხარეების ჩართულობით (Stakeholder Engagement) განხორციელებული საქმიანობების შეჯამებას; • საჩივრების განხილვის მექანიზმ(ებ)ში შესულ საჩივრებს, საჩივრების რეესტრს და მათი განხილვისა და გადაწყვეტის პროცესში მიღწეულ პროგრესს; • ქვემოთ, „D“ აქტივობით განსაზღვრული ინციდენტებისა და უბედური შემთხვევების რაოდენობას და მათი გადაწყვეტის/რეაგირების სტატუსს.	კვარტალური ანგარიშგება, რომელიც იწყება საგრანტო შეთანხმების ძალაში შესვლის დღიდან. თითოეული ანგარიში ბანკს წარედგინება საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან არაუგვიანეს 30 დღისა.	MoILHSA
D	**ინციდენტები და უბედური შემთხვევები** ბანკს დაუყოვნებლივ ეცნობოს პროექტთან დაკავშირებული ნებისმიერი ინციდენტის ან უბედური შემთხვევის შესახებ, რომელმაც გამოიწვია ან შესაძლოა გამოიწვიოს მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა გარემოზე, დაზარალებულ თემებზე, საზოგადოებაზე ან დასაქმებულებზე, მათ შორის: • დასაქმებულთა ან საზოგადოების წარმომადგენელთა გარდაცვალება ან მძიმე დაზიანება; • ძალადობის, დისკრიმინაციის ან საპროტესტო ქმედებების შემთხვევები; • კულტურულ მემკვიდრეობაზე ან ბიომრავალფეროვნების რესურსებზე გაუთვალისწინებელი ზემოქმედება; • გარემოს დაბინძურება; • კაშხლის მწყობრიდან გამოსვლა ან ავარია; • იძულებითი ან ბავშვთა შრომის გამოყენება; • სათანადო სამართლებრივი პროცედურების გარეშე გადაადგილება (იძულებითი გამოსახლება); • სექსუალური ექსპლუატაციისა და ძალადობის (SEA) ან სექსუალური შევიწროების (SH) შესახებ ბრალდებები;	აცნობოს ბანკს ინციდენტის ან უბედური შემთხვევის შესახებ შეტყობიდან არაუგვიანეს 48 საათის განმავლობაში. მოთხოვნის შემთხვევაში მიაწოდოს მის ხელთ არსებული ინფორმაცია.	MoILHSA, MEPA -ს მოწოდებული ინფორმაციის გათვალისწინებით

მხოლოდ ოფიციალური გამოყენება

მატერიალური ღონისძიებები და ქმედებები		ვადები	პასუხისმგებელი უწყება
	• დაავადებების გავრცელება(Disease Outbreaks). ბანკის მოთხოვნის შემთხვევაში, წარედგინოს ინციდენტთან ან უბედურ შემთხვევასთან დაკავშირებული ყველა ხელმისაწვდომი ინფორმაცია. უზრუნველყოფილ იქნეს ინციდენტის ან უბედური შემთხვევის შესაბამისი განხილვა მისი უშუალო, საფუძვლიანი და ძირეული მიზეზების დასადგენად. მომზადდეს, ბანკთან შეთანხმდეს და განხორციელდეს მაკორექტირებელი ღონისძიებების გეგმა (Corrective Action Plan), რომელიც განსაზღვრავს ინციდენტის ან უბედური შემთხვევის შედეგების აღმოსაფხვრელად და მისი განმეორების თავიდან ასაცილებლად გასატარებელ ღონისძიებებსა და ქმედებებს.	ბანკს მიაწოდოს განხილვის ანგარიში და მაკორექტირებელი სამოქმედო გეგმა პირველადი შეტყობინების წარდგენიდან არაუგვიანეს 10 დღისა, თუ ბანკი წერილობით არ არის შეთანხმებული სხვა ვადებზე.	
ESS 1: გარემოსდაცვითი და სოციალური რისკებისა და ზემოქმედების შეფასება და მართვა			
1.1	**გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასებები ან/და გეგმები** უზრუნველყოფილ იქნეს პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური (E&S) რისკებისა და ზემოქმედებების მართვა წინამდებარე გარემოსდაცვითი და სოციალური ვალდებულებების გეგმის (ESCP) და მიმღების გარემოსდაცვითი და სოციალური ჩარჩოს (E&S Framework) შესაბამისად, რომელიც, მათ შორის, მოიცავს ქვეყნის შესაბამის პოლიტიკურ, სამართლებრივ და ინსტიტუციურ სისტემებს, მათ შორის ეროვნულ, რეგიონულ და ადგილობრივ განმახორციელებელ ინსტიტუტებს, აგრეთვე მოქმედ კანონმდებლობას, რეგულაციებს, პროცედურებსა და მათი განხორციელების ინსტიტუციურ შესაძლებლობებს. უზრუნველყოფილ იქნეს, რომ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი (NCDC), სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორია (SLA) და სურსათის ეროვნული სააგენტო (NFA) მკაცრად იცავდნენ მათთვის სავალდებულო ლაბორატორიულ პროტოკოლებს, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ შრომის უსაფრთხოების, სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციისა და ტექნიკური მომსახურების მოთხოვნებს.	პროექტის განხორციელების მთელი პერიოდის განმავლობაში	MoILHSA MEPA

მხოლოდ ოფიციალური გამოყენება

	მატერიალური ღონისძიებები და ქმედებები	ვადები	პასუხისმგებელი უწყება
1.2	**მიმღების გარემოსდაცვითი და სოციალური ჩარჩოს გამოყენება** ბანკს დაუყოვნებლივ ეცნობოს მიმღების გარემოსდაცვით და სოციალურ ჩარჩოში (E&S Framework) განხორციელებული ნებისმიერი ცვლილების შესახებ, რომელმაც შეიძლება არსებითად უარყოფითად იმოქმედოს მიმღების შესაძლებლობაზე, მართოს პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური (E&S) რისკები და ზემოქმედებები გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტების (ESSs) შესაბამისად. ასევე, ბანკს ეცნობოს აღნიშნულ ცვლილებებზე რეაგირების მიზნით დაუყოვნებლივ განხორციელებული ან დაგეგმილი ღონისძიებების, აგრეთვე პროექტთან დაკავშირებული რისკებისა და შესაძლო ზემოქმედებების შესახებ. თუ ბანკის შეფასებით აღნიშნული ცვლილებები უარყოფითად აისახება პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვის შესაბამის ასპექტებზე, განხორციელდეს ბანკისთვის მისაღები ღონისძიებები და ქმედებები აღნიშნული ცვლილებების აღმოსაფხვრელად და ბანკთან შეთანხმებით განახლდეს წინამდებარე გარემოსდაცვითი და სოციალური ვალდებულებების გეგმა (ESCP), რათა ასახავდეს აღნიშნულ ღონისძიებებსა და ქმედებებს.	შეატყობინეთ ბანკს ეროვნულ E&S ჩარჩოში ცვლილების შეტყობინებისთანავე. ბანკის მოთხოვნის შემთხვევაში, ასახოს შემდგომი ქმედებები განახლებულ ESCP-ში ბანკთან შეთანხმებულ გონივრულ ვადაში.	MoILHSA
ESS 2: შრომის და სამუშაო პირობები			
2.1	**შრომის მართვის პროცედურები** უზრუნველყოფილ იქნას, რომ პროექტში დასაქმებული პირები ჩართულნი იყვნენ პროექტის განხორციელებაში გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტის 2-ის (ESS2) მოთხოვნების შესაბამისად. ამ მიზნით, განხორციელდეს შემდეგი ღონისძიებები: • პროექტის განხორციელებაში ჩართული საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროექტის განმახორციელებელი ერთეულის (PIU), დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის (NCDC), სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორიის (SLA) და სურსათის ეროვნული სააგენტოს (NFA) თანამშრომლებს მიეწოდოთ მკაფიო და გასაგები ინფორმაცია და დოკუმენტაცია მათი დასაქმების პირობების შესახებ, წერილობითი შრომითი ხელშეკრულებების მეშვეობით, რომლებშიც განსაზღვრული იქნება მათი უფლებები, მათ შორის, სამუშაო საათებთან, შრომის ანაზღაურებასთან, ზეგანაკვეთურ სამუშაოსთან, კომპენსაციასთან, სოციალური სარგებელთან, აგრეთვე შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ წერილობით შეტყობინებასა და საჭიროების შემთხვევაში, სამსახურიდან გათავისუფლებისას გასაცემი კომპენსაციის პირობებთან დაკავშირებული უფლებები;	პროექტის განხორციელების მთელი პერიოდის განმავლობაში	MoILHSA MEPA

მხოლოდ ოფიციალური გამოყენება

მატერიალური ღონისძიებები და ქმედებები		ვადები	პასუხისმგებელი უწყება
	• დაინერგოს შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის (OHS) ზომები, მათ შორის უზრუნველყოფა მოხდეს ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით, გატარდეს საგანგებო სიტუაციებისთვის მზადყოფნისა და რეაგირების ღონისძიებები მსოფლიო ბანკის ჯგუფის გარემოსდაცვითი, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ზოგადი სახელმძღვანელოს მითითებებით, შესაბამისი დარგობრივი და საერთაშორისო საუკეთესო ინდუსტრიული პრაქტიკის გათვალისწინებით; • საჭიროებისამებრ განხორციელდეს ღონისძიებები, მათ შორის: ○ (i) იძულებითი შრომისა და ბავშვთა შრომის ნებისმიერი ფორმის აღმოსაფხვრელად; ○ (ii) დასაქმებულებისთვის საჩივრების მექანიზმებზე წვდომის უზრუნველსაყოფად, შიშისა და შურისძიების საფრთხის გარეშე; ○ (iii) დასაქმებულთა ორგანიზაციების შექმნისა და მათში გაწევრიანების თავისუფლების ან ალტერნატიული მექანიზმების გამოყენების შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად, რათა მათ შეძლონ საკუთარი მოსაზრების გამოხატვა, რომ დაცული იყოს მათი შრომით უფლებები და სამუშაო პირობები; • პროექტში დასაქმებული პირებისთვის შემუშავდეს შრომის შინაგანაწესი (Code of Conduct), რომელიც მოიცავს სექსუალური ექსპლუატაციისა, ძალადობის და სექსუალური შევიწროების პრევენციისა და მათზე რეაგირების ღონისძიებებს; • შესაბამისი ზემოაღნიშნული მოთხოვნები ინტეგრირებული იქნეს შესყიდვის დოკუმენტაციის გარემოსდაცვით და სოციალურ (E&S) მახასიათებლებში.		
ESS 3: რესურსების ეფექტურობა და დაბინძურების პრევენცია და მართვა			
3.1	ნარჩენების მართვა უზრუნველყოფილ იქნეს, რომ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულმა ცენტრმა (NCDC), სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორიამ (SLA) და სურსათის ეროვნულმა სააგენტომ (NFA) მკაცრად დაიცვან გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტი 3-ის (ESS3) მოთხოვნები, აგრეთვე საქართველოს ნარჩენების მართვის კოდექსისა და მის საფუძველზე მიღებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მოთხოვნები, რომლებიც არეგულირებს საყოფაცხოვრებო სამედიცინო ნარჩენების მართვასა და განთავსებას, ასევე გამოყენებული ბატარეების, საპოხი მასალებისა და სატრანსპორტო საშუალებების საბურავების გადამუშავებას საქართველოში მოქმედი მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების სქემების მეშვეობით.	პროექტის განხორციელების მთელი პერიოდის განმავლობაში	MoILHSA MEPA

მხოლოდ ოფიციალური გამოყენება

მატერიალური ღონისძიებები და ქმედებები		ვადები	პასუხისმგებელი უწყება
3.2	**რესურსების ეფექტიანი გამოყენება, დაბინძურების პრევენცია და მართვა** პროექტის ფარგლებში შესაძენი სატრანსპორტო საშუალებების და აღჭურვილობის ტექნიკურ მახასიათებლებში გათვალისწინებულ იქნეს ენერგოეფექტურობასთან დაკავშირებული შესაბამისი მოთხოვნები გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტი 3-ის (ESS3) მოთხოვნების შესაბამისად.	საქონლის შესყიდვის დოკუმენტაციის მომზადებისას	MoILHSA
ESS 4: საზოგადოების ჯანმრთელობა და უსაფრთხოება			
ამჟამად არ არის შესაბამისი.			
ESS 5: მიწის შეძენა, მიწათსარგებლობის შეზღუდვები და არანებაყოფლობითი განსახლება			
ამჟამად არ არის შესაბამისი.			
ESS 6: ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია და ცოცხალი ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა			
ამჟამად არ არის შესაბამისი.			
ESS 7: მკვირდი ხალხები / საჰარის სამხრეთით მდებარე აფრიკელი ისტორიულად დაუცველი ტრადიციული ადგილობრივი თემები			
ამჟამად არ არის შესაბამისი.			
ESS 8: კულტურული მემკვიდრეობა			
ამჟამად არ არის შესაბამისი.			
ESS 9: ფინანსური შუამავლები [ეს სტანდარტი აქტუალურია მხოლოდ ფინანსური შუამავლების (FI) პროექტებისთვის.]			
ამჟამად არ არის შესაბამისი.			
ESS 10: დაინტერესებული მხარეების ჩართულობა და ინფორმაციის გამჟღავნება			

მხოლოდ ოფიციალური გამოყენება

	მატერიალური ღონისძიებები და ქმედებები	**ვადები**	**პასუხისმგებელი უწყება**
10.1	უზრუნველყოფილ იქნეს პროექტის განხორციელების პროცესში დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობისა და ინფორმაციის გამჟღავნების ღონისძიებების განხორციელება გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტი 10-ის (ESS10) მოთხოვნების შესაბამისად. ამ მიზნით განხორციელდეს შემდეგი ღონისძიებები: • გამოვლინდნენ შესაბამისი დაინტერესებული მხარეები, მათ შორის მოწყვლადი ჯგუფები და ჩატარდეს ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები პროექტის ბენეფიციარებისთვის პროექტზე ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად; • მიეწოდოს დაინტერესებულ მხარეებს ინფორმაცია პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური რისკებისა და ზემოქმედების შესახებ დროულად, გასაგებით, ხელმისაწვდომი და შესაბამისი ფორმით და ფორმატში; • კომუნიკაცია შედგეს დაინტერესებულ მხარეებთან მათთვის მისაღები ფორმით, მანიპულაციის, ჩარევის, იძულების, დისკრიმინაციისა და დაშინების გარეშე; • დაინტერესებული მხარეების აქტივობებში ჩართულობის დოკუმენტირება და ანგარიშგება განხორციელდეს რეგულარულ ანგარიშებში, შემდეგი ინფორმაციის წარდგენით: (i) დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირებით და/ან რუკების შედგენით; (ii) გამჟღავნებული ინფორმაციით; (iii) კომუნიკაციის და მონაწილეობის მექანიზმების აღწერით, ჩატარებული შეხვედრების ჩანაწერებით; (iv) მიღებული უკუკავშირით და პასუხებით უკუკავშირზე; (v) დაინტერესებული მხარეების ჩართულობისთვის გატარებული ღონისძიებით, რომლებიც მათი კონკრეტული გარემოებების გამო, შეიძლება იყვნენ დაუცველი ან მოწყვლადი. • შეიქმნას, საჯაროდ გამოცხადდეს, შენარჩუნდეს და ფუნქციონირებდეს ხელმისაწვდომი საჩივრების განხილვის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს პროექტთან დაკავშირებული საკითხების, წუხილისა და საჩივრების მიღებასა და მათ დროულ, ეფექტიან და გამჭვირვალე განხილვასა და გადაწყვეტას, შესაბამისი და პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი ყველა მხარისთვის ადვილად ხელმისაწვდომი ფორმით, ყოველგვარი საფასურისა და შურისძიების რისკის გარეშე, მათ შორის ანონიმურად წარდგენილი საჩივრების მიღებასა და განხილვას, ESS10-ის მოთხოვნების შესაბამისად.	პროექტის განხორციელების მთელი პერიოდის განმავლობაში	MoILHSA MEPA

მხოლოდ ოფიციალური გამოყენება

მატერიალური ღონისძიებები და ქმედებები		ვადები	პასუხისმგებელი უწყება
10.2	**პროექტის საჩივრების განხილვის მექანიზმი** ფუნქციონირებდეს ხელმისაწვდომი საჩივრების განხილვის მექანიზმი, რათა უზრუნველყოფილ იქნას პროექტთან დაკავშირებული წუხილებისა და საჩივრების დროული, ეფექტური და გამჭვირვალე მიღება და მათი გადაჭრის ხელშეწყობა. აღნიშნული მექანიზმი უნდა იყოს მისაღები და ადვილად ხელმისაწვდომი პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფი ყველა მხარისთვის, ყოველგვარი საფასურისა და შურისძიების/სამაგიეროს გადახდის რისკის გარეშე, მათ შორის ანონიმურად წარდგენილი საჩივრებისთვის, მე-10 გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტის (ESS10) შესაბამისად. საჩივრების განხილვის მექანიზმი აღჭურვილი უნდა იყოს სექსუალური ექსპლუატაციის, ძალადობისა და სექსუალური შევიწროების (SEA/SH) შესახებ საჩივრების მისაღებად, დასარეგისტრირებლად და მათი გადაჭრის ხელშესაწყობად, მათ შორის, დაზარალებულთა გადამისამართების გზით გენდერული ძალადობის საკითხებზე მომუშავე შესაბამის სერვისის პროვაიდერებთან — ეს ყველაფერი უნდა განხორციელდეს უსაფრთხო, კონფიდენციალურ და დაზარალებულზე ორიენტირებულ გარემოში.		
განხორციელებისთის მზადყოფნის ინდიკატორები			
პროექტის განხორციელებისთვის მზადყოფნის ინდიკატორებად განისაზღვრება შემდეგი ქმედებები: • ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროექტის განმახორციელებელი ერთეულის (PIU) გარემოსდაცვითი და სოციალური (E&S) საკითხების სპეციალისტის ტექნიკური დავალება (Terms of Reference - ToR) შემუშავებულია და შეთანხმებულია ბანკთან.			

მხოლოდ ოფიციალური გამოყენება